საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ე. ნ., ქ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის №162/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. კ.-ს /სიითი № / მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-ს ათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ე. ნ. და ქ. ნ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ა. კ.-ს ათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2007 წლის 17 სექტემბერს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ქ. ნ.-ს სხდომაზე დაუსწრებლად მიიღო გადაწყვეტილება მისი დამნაშავედ ცნობის თაობაზე. საჩივრის ავტორთა განმარტებით ქ. ნ. იმყოფება ისრაელში. 2017 წელს მის პასპორტს გაუვიდა ვადა და საჭირო გახდა მისი თავიდან დამზადება. ქ. ნ.-ს შვილმა, ე. ნ.-მ მიმართა სხვადასხვა ადვოკატს, დახმარებოდნენ დედის პასპორტის დამზადებაში, მაგრამ მათ უარი უთხრეს იურიდიული მომსახურების გაწევაზე იმ მიზეზით, რომ პასპორტის აღება ვერ მოხერხდებოდა ქ.

ნ.-ს საქართველოში ჩამოსვლის გარეშე, თუმცა ქ. ნ. საქართველოში ვერ ჩამოდიოდა, რადგან საქართველოში ჩამოსვლის დღესვე დააკავებდნენ.

1.3 ე. ნ.-ს მისმა მეგობარმა ე. მ.-მ ურჩია ადვოკატ ა. კ.-სთან დაკავშირება იურიდიული დახმარების მისაღებად. ე. ნ. ე. მ.-სთან ერთად შეხვდა ადვოკატ ა. კ.-ს ადვოკატის ოფისში. ადვოკატმა გარანტია მისცა მას, რომ ქ. ნ.-ს მოუხსნიდა ნასამართლეობას და პასპორტსაც აიღებდა მისი ჩამოსვლის გარეშე, რასაც ცოტა დრო დასჭირდებოდა, თუმცა აუცილებლად გააკეთებდა. 2017 წლის აგვისტოში ე. ნ.-მ 1000 აშშ დოლარი გადაურიცხა საბანკო ანგარიშზე ჰონორარის სახით ადვოკატს.

1.4 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა ა. კ.-მ განუცხადა მათ, რომ იუსტიციის სახლის უარი პასპორტის გაცემის თაობაზე გაასაჩივრა სასამართლოში და სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად ე. ნ.-ს გამოართვა 100 ლარი. საჩივრის ავტორთათვის უცნობია, ბაჟის გადახდის თაობაზე ინფორმაცია, ვინაიდან ადვოკატთან დაკავშირება საკმაოდ რთულია, ის არ პასუხობს მათ ზარებს და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს.

1.5 ე. ნ.-ს განმარტებით, ადვოკატმა ა. კ.-მ მოუმზადა სარჩელი და განუმარტა, რომ პასპორტის გაცემაზე უარის თქმის გამო სასამართლოს მიმართავდა მოთხოვნით. საჩივრის ავტორი ე. ნ. არ ფლობდა ინფორმაციას ადვოკატ ა. კ.-ს მიერ ქ. ნ.-სთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით მცხეთის რაიონული პროკურატურისთვის მიმართვის შესახებ. ასევე, ის არ ფლობდა ინფორმაციას ადვოკატ ა. კ.-ს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის ქ. ნ.-ს შეწყალების მოთხოვნით მიმართვის თაობაზე. თუმცა, ადვოკატი ა. კ. მასთან სატელეფონო საუბრისას აღნიშნავდა, რომ ქ. ნ.-ს საქმეზე ყველაფერს აკეთებდა.

2. საჩივრის ავტორთა მოწმის - ე. მ.-ს განმარტება:

2.1 საპროცესო და განხილვის კოლეგიის სხდომებზე მოწმის სახით გამოიკითხა ე. მ. რომელიც არის ე. ნ.-ს მეგობარი. მოწმის განმარტებით, იგი იცნობდა ა. კ.-ს და სწორედ მან მიიყვანა ე. ნ. ადვოკატთან ოფისში.

2.2 მოწმის განმარტებით, ის იმყოფებოდა ადვოკატთან ოფისში, როდესაც ა. კ.-მ გადახედა ე. ნ.-ს მიერ მიცემულ საქმის მასალებს და უთხრა მას, რომ ეს საქმე აუცილებლად გაკეთდებოდა, კერძოდ პასპორტს დაუმზადებდა მისი საქართველოში ჩამოსვლის გარეშე, ასევე მოუხსნიდა ნასამართლეობას ქ. ნ.-ს და მისი საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში მას არ დააპატიმრებდნენ. ადვოკატმა ე. ნ.-ს იურიდიული მომსახურეობის სანაცვლოს მოსთხოვა 1000 აშშ დოლარის გადახდა.

2.3 მოწმის განმარტებით, ის ესწრებოდა ე. ნ.-ს მიერ ადვოკატის ანგარიშზე 1000 აშშ დოლარის გადარიცხვის ფაქტს.

2.4 მოწმის განმარტებით, ა. კ. აღარ პასუხობდა ე. ნ.-ს ზარებს, რის შემდეგაც ე. მ.-მა ტელეფონით გაუგზავნა შეტყობინება ადვოკატს, რომ დაებრუნებინა თანხა ე. ნ.-სთვის, რაზედაც ა. კ.-მ არ უპასუხა.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატ ა. კ.-ს განმარტებით, ქ. ნ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით საჯარო რეესტრში წარსადგენად მოამზადა განცხადება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარსადგენად სარჩელი. ქ. ნ. ვერ ახერხებდა ა. კ.-ს სახელზე მინდობილობის გაფორმებას, ვინაიდან ამ პერიოდში მას შეწყვეტილი ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა და ბიომეტრიული პასპორტიც არ გააჩნდა. ქ. ნ.-ს შვილის - ე. ნ.-ს სახელზე უკვე ჰქონდა მინდობილობა გაფორმებული, შესაბამისად ადვოკატი სარჩელის შეტანას, სარჩელთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვას და სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარებას ქ. ნ.-ს შვილის ე. ნ.-ს სახელით უზრუნველყოფდა. აღნიშნული მოქმედებების განხორციელების დროს ადვოკატი ე. ნ.-სთან ერთად იყო და სრული პასუხისმგებლობით ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. ადვოკატმა ასევე გამოწერა ორდერი და მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას შეწყალების მოთხოვნით და პროკურატურას ორჯერ, სასჯელის შეცვლის შუამდგომლობით, რომ ქ. ნ.-ს მიმართ გამოყენებულიყო მსუბუქი სასჯელი.

3.2 ადვოკატ ა. კ.-ს განცხადებით, მას ე. ნ.-სთვის გარანტია არ მიუცია საქმის შედეგთან დაკავშირებით, რადგან ის კანონიერი საშუალებებით ცდილობდა ქ. ნ.-ს დაცვას

3.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორების პრეტენზიები უსამართლოა და მიიჩნევს, რომ მის მიმართ დისციპლინური სახდელი არ უნდა იქნეს გამოყენებული. ადვოკატმა გამოთქვა მზაობა დაუბრუნოს მიღებული ჰონორარის ნაწილი საჩივრის ავტორებს, ვინაიდან ქ. ნ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით მან მომსახურება გასწია.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2019 წლის 12 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დარღვეულია ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც გამოიხატა კლიენტისთვის გარანტიის მიცემაში, ქ. ნ.-სთვის საადვოკატო მომსახურების არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად განხორციელებაში, მისთვის მიმდინარე საქმის წარმოების თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობაში და საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული ჰონორარის არასამართლიანად გამომუშავებაში, რომელთა განხილვის ეტაპზე დადასტურების შემთხვევაში ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3, მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2019 წლის 12 დეკემბერს საჩივრის ავტორებმა ე. და ქ. ნ.-ბმა განცხადება წარმოადგინა ეთიკის კომისიაში. განცხადების მიხედვით, საჩივრის ავტორებს აღარ აქვთ პრეტენზიები ადვოკატის მიმართ და სურთ დისციპლინური საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე“.

5.3 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, 33-35 მუხლებით, 37-ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. №162/18 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ /სიითი№/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/